თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2415704

ნომერი: AR1373806

თარიღი : 28.01.2016

გაცემის თარიღი : 03.02.2016

გაცნობის თარიღი : 04.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 28.01.2016წ. №AR1373806 განმეორებითი განცხადება, რომლითაც მოითხოვეთ ამავე სამსახურის 24.09.2015წ. №№2205731 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციაში ცვლილების შეტანა.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 28.01.2016 №2406457 გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზი, და დაგევალათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოგედგინათ საპროექტო მიწის ნაკვეთზე აღნიშნული იურიდიული პირის (შპს „ალზაკომ“–ის) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სახით), ასევე სამსახურს მოემართა ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს და საჭიროების შემთხვევაში, ასევე წარმოდგენილ ყოფილიყო მესაკუთრის შპს „GBC”–ის თანხმობა დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით ან მომხდარიყო მისი დირექტორის თანაგანმცხადებლად დარეგისტრირება.

სამსახურმა, შეისწავლა თქვენს მიერ განმეორებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ხარვეზი სრულყოფილად არ არის შევსებული. კერძოდ თქვენს მიერ არ არის წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთზე აღნიშნული იურიდიული პირის (შპს „ალზაკომ“–ის) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების
შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სახით), ასევე სამსახურს უნდა მოემართა ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

ვინაიდან, ხარვეზის დადგენის შესახებ ბრძანებას გაეცანით 2016 წლის 29 იანვარს, მის გამოსასწორებლად დადგენილი 5 (ხუთი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 2 (ორი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას დარჩენილი 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, კერძოდ: უნდა წარმოადგინოთ საპროექტო მიწის ნაკვეთზე აღნიშნული იურიდიული პირის (შპს „ალზაკომ“–ის) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სახით), ასევე სამსახურს მომართოს მის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა.

აღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28.01.2016 №2406457 გადაწყვეტილების შესაბამისად, თქვენი 28.01.2016წ. №AR1373806 განცხადება დარჩება განუხილველი.

---